# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1024 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის
## თანხმობის მიცემის შესახებ

ნება დაერთოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული ასიგნებებიდან მიმართოს 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2016 წლის ბიუჯეტში, საქართველოს მხრიდან ნებაყოფლობითი შენატანის განხორციელების მიზნით.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**